

(1997)

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1119 (1997) ამიერკავკასიაში კონფლიქტების შესახებ

1. ასამბლეა ვარაუდობს, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულება, რომელიც არსებობს ამიერკავკასიის კონფლიქტების მიმართ, კერძოდ, აფხაზეთსა და მთიან ყარაბაღში 1994 წლის მაისიდან, უნდა დაეხმაროს სტაბილურობის მიღწევას დამაბულობის ზონაში.

2. კომიტეტში ევროპის ქვეყნებთან _ ევროსაბჭოს არაწევრ ქვეყნებთან დაკავშირებული სხვადასხვა მოსმენების შემდეგ ასამბლეას მიაჩნია, რომ საჭიროა სწრაფი, გადამწყვეტი პროგრესი ამ კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების მიმართულებით.

3. ამიერკავკასიის სამივე ქვეყანას _ სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს _ აქვს განსკუთრებული სტუმრის სტატუსი და შემოიტანეს განაცხადი ევროპის საბჭოს სრულფლებიან წევრობაზე. ასამბლეას მიაჩნია, რომ ყველა მხარის ნამდვილი პოლიტიკური ნება, გადაწყდეს კონფლიქტი, დაეხმარება დაჩქარებული წესით მათ მიღებას ევროსაბჭოში.

4. ასამბლეა მოუწოდებს ამ კონფლიქტში პირდაპირ ან ირიბად ჩართულ ყველა მხარეს, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას (დსთ) და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას (ეუთო), მიიღონ კონსტრუქციული მონაწილეობა რეგიონში ჩატარებულ საშუამავლო მუშაობაში.

5. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი კონფლიქტი თავისი ბუნებით განსხვავებულია, ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ მათი პოლიტიკური მოწესრიგება უნდა განიხილოს მათში მონაწილე ყველა მხარემ, კერძოდ, ჰელსინკის 1975 წლის დასკვნითი აქტის და პარიზის 1990 წლის ქარტიას დაფუძნებულ შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

ი. საზღვრების ურღვევობა;

იი. ყველა ხალხის შესაბამის ტერიტორიაზე გარანტირებული უსაფრთხოება, კერძოდ, მრავალეროვნული მშვიდობისყოფის ძალების დახმარებით;

იიი. აფხაზეთისა და მთიანი ყარაბაღისათვის გაფართოებული ავტონომიის სტატუსის განხილვა ყველა დაინტერესებული მხარის მიერ;

6. ასამბლეა ფიქრობს, რომ ევროპის საბჭო ვალდებულია, შეიტანოს რეალური წვლილი იმისათვის, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებში დამყარებულ იქნეს კანონის უზენაესობა, პლურალური დემოკრატია, ადამიანის უფლებების დაცვა და შეიქმნას სოციალური საბაზრო ეკონომიკა.

7. ასამბლეა ინტერესით აღნიშნავს, რომ შეიმჩნევა პოზიციების დაახლოების გარკვეული ნიშნები თბილისსა და სოხუმს შორის და ზემოაღნიშნული პრინციპების საფუძველზე მოლაპარაკების შედეგად პოლიტიკური მოწესრიგების სწრაფად მიღწევის იმედი აქვს.

8. იგი იმედოვნებს, რომ ყველა დაინტერესებული მხარის, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ეუთოსა და რუსეთის ფედერაციის ძალისხმევა მალე მიგვიყვანს ინსტიტუციონალურ ბალანსთან, რაც მისაღები იქნება როგორც თბილისის, ისე სოხუმისათვის ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დევნილების დაბრუნება უსაფრთხოების ოპტიმალური პირობებით, რეგიონის მოსახლეობას კი მშვიდობა და ეკონომიკური კეთილდღეობა დაუბრუნდეს.

1997 წლის 22 აპრილი

(www.coe.int)